# იმერეთი

ყოველდღიური გაზეთი

ფასი:
წლიურათ . . . . . . 7 მანეთი
ნახევარი წლით . . . . 4 მანეთი
თვიურათ . . . . . . 3 აბაზი
ცალკე ნუმრის ერთი შაური.

წლიური ხელის მომწერლებს გაზეთის ფასი შეუძლიათ ნაწილნაწილათ გადაიხადონ: ხელის მოწერის დროს 3 მანეთი და დანარჩენი კიდევ ნაწ--ნაწილათ. საზღვარგარეთ წლიურათ 14 ნ., ნახევარი წლით 8 მან., თვიურათ 6 აბაზი.

№ 32
წელიწადი მეორე
= 1913 =
შაბათი, თებერვ.

რედაქცია მოთავსებულია ქუთაისში, Iვანოვის ქუჩაზე, ვ. ი. ჭილაძის სახლში, (ქიათურის შავიქვის მრეწველთა საბჭოს პირდაპირ).

ტელეფონი № 149.

აბა, მოსწიეთ პაპიროზი
15 ცალი 6 კ. „ანი" 25 ცალი 2 შაურათ
აქციონ. საზოგ. თამბაქ. ქარხ. „მირი".

აბა, მოსწიეთ პაპიროზი
20 ცალი 1 შაურათ „ბელაია რომაშკა" 20 ცალი 1 შაურათ
აქციონ. საზოგად. თამბ. ქარხ. „მირი".

## მიიღება ხელისმოწერა 1913 წლისათვის ყოველდღიურ გაზეთზე.

წელიწადი მეორე 1913 **იმერეთი** წელიწადი მეორე 1913

| გაზეთის ფასი: | | |
|---|---|---|
| ერთი წლით . . | 7 | მანეთი, |
| ნახევარი წლით . . | 4 | მანეთი, |
| ერთი თვით . . | 4 | აბაზი |
| და ცალკე ნუმრის . . | 1 | შაური. |

წლიურ ხელისმომწერლებს შეუძლიათ გაზეთის ფასი ამნაირათ გადაიხადონ: ხელისმოწერის დროს სამი მანეთი, პირველ მაისს ორი მანეთი და პირველ ეკენისთვესაც ორი მანეთი.

მოსწავლეებს, სათვისტომოებსა და სოფლის უფასო წიგნსაცავ-სამკითხველოებს გაზეთი წლიურათ ეთმობათ ოთხ მანეთად, ხოლო ნოქრებსა და სოფლის მასწავლებლებს—ხუთ მანეთად. თვიურათ გაზეთი ამავე პირთათვის ღირს სამ აბაზათ. მისამართის გამოცვლა ღირს ათ შაურათ. მისამართის გამოცვლის დროს უნდა ნაჩვენები იყოს სრულათ ის მისამართი, რომლითაც ღებულობდა გაზეთს და აგრეთვე სწორათ ახალი მისამართიც; სხვანაირათ მისამართის გამოცვლა არ შეიძლება.

საზღვარგარეთ გაზეთი წლიურათ ღირს 14 მანეთად, ნახევარი წლით 8 მან. და თვიურათ 6 აბაზათ.

სამგლოვიარო განცხადების თითო დაბეჭდვა ყველასათვის—სამ მანეთად.

**განცხადების ფასი:** პირველ გვერდზე პეტიტის ანგარიშით პწკარი ღირს 3 შაურათ, მეოთხეზე—ორ შაურათ, შიგნით გვერდზე მორიგებით და გარეშე ცნობები ჩვეულებრივი ასოებით დაბეჭდილი თითო პწკარი თითო აბაზათ. შრომის მაძებართა განცხადება—ნახევარ ფასათ.

გაზეთის დასაკვეთი ფასი და აგრეთვე სხვა ანგარიშებიც უსათუოთ ამ მისამართით უნდა გამოიგზავნოს: Кутаисъ, редакція и контора газеты „ИМЕРЕТИ", Василію М. Челидзе. სხვანაირათ გამოგზავნილ ფულსა და ანგარიშებს რედაქცია თავის დროზე ვერ მიიღებს.

ამა მდგომარე თებერვალის 6 რიცხვს ხანგრძლივი ავათმყოფობის შემდეგ გადაიცვალა

**ალექსანდრა** ლაზარე ოდიშარიას ასული **საყვარელიძისა,**

რასაც აუწყებენ ულრმესს მწუხარებასა შინა მყოფნი: მეუღლე მისი კანდელიკე ალექსანდრეს ძე, მაზლი—ამბერკი ალექსანდრესძე და რძალი ნინო ვლადიმერის ასული საყვარელიძეები. პანაშვიდი ყოველ დღე, საღამოს 5 საათზე, ხოლო ცხედარის ბინიდან გამოსვენება ამა თებერვლის 10 რიცხვს, დილით კვირას დ. ზესთაფონში.

ანტონ ჯავოსის ძე ჩოგოვაძე, ანა გერსამიასი, თეკლე ბურჭულაძისა და ნესტორ ზურაბის ძე გერსამია შვილებითურთ აუწყებენ ნათესავთა, ნაცნობთა და მეგობრებს, რომ 6 ამა თებერვალს გადაიცვალა პირველის უძვირფასესი მეუღლე, მეორე და მესამესი საყვარელი დედა და მეოთხესი სიდედრი.

**ელისაბედ დავითის ასული ჩოგოვაძისა.**

პანაშვიდები ყოველ საღამოს 5 საათზე საკუთარ სახლში, გოშპიტლის ქუჩაზე № 12, დაკრძალვა კვირას ათ თებერვალს ნაშუადღევის სამ საათზე ოლასკურის სასაფლაოზე.

ქეტო მიხეილის ასული, გიორგი და ვუკოლე მიხეილის ძენი ბერიძეები, ითიყო და ანტონ პავლეს ძენი ანჯაფარიძენი აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ, რომ ორმოცის წირვა და პანაშვიდი—პირველთა საყვარელი დედის, ხოლო უკანასკნელთა დაუვიწყარი დის

**ქრისტინეს**

სულის მოსახსენებლათ დანიშნულია კვირას, 10 თებერვალს ხონის მაცხოვრის ეკლესიაზე.

კვირას, 10 თებერვალს ღვთისმშობლის ეკლესიაზე (არქიელის გორა) გადახდილი იქნება ორმოცის წირვა და პანაშვიდი განსვენებულის

**მარიამ მარჯანიშვილისა,**

რასაც ნათესავთა და ნაცნობთ აუწყებენ მწუხარებასა შინა მყოფნი ჭირისუფალნი მიცვალებულისა.

## ქართული თეატრი

ბენეფისი ნიკო გვარაძისა.

..., 9 თებერვალს წარმოდგენილი იქნება პირველათ ქართულ სცენაზე პიესა ვემერისა და ბარესისა

**ჰანსიონის ზღუდეთა შორის**

მონაწილეთა ცხოვრ. 4 მ. თარგ. სანდალიძისა და იმედაშვილისა ...დგმის ფასი საბენეფისოა ✦ დასაწყისი 8 საათზე ✦ ადმინისტრ. ვ. ურუშაძე.

ქ. ქუთაისში
ვაჭრობა-მრეწველობის სამინისტროს უწყებაში მყოფი
**საბუღალტერო კურსები**
**ვ. ვ. გიგინეიშვილისა.**

იანვრიდან იხსნება კურსებზე მეორე განყოფილება. მსმენელები მიიღებიან ოთხი კლასის მოწმობით (გიმნაზია, საქალაქო თუ სასულიერო სასწავლებელი). კურსი ათი თვისაა. სწავლის ფული ასი მან.
თხოვნები მიიღება კურსების კანცელარიაში (თფილისის ქუჩა).

**აქიმი** ვ. ი. ფუშინი ქირურგიული და საშარდე სნეულება ყოველდღე 12—2 და 4—6 საათამდი. გოშპიტლის ქ. გვაზარიას სახლი.

გამოცდილი **მასწავლებლები**
ამზადებენ ბავშებს ხელმისაწდომ ფასათ და ბეჯითად. შეუძლიათ მოამზადონ ყველა საშვალო სასწავლებლის დაბალ კლასისთვის, აგრეთვე სასულიერო და სამოქალაქო სასწავლებლის ყველა კლასისთვის. გაკვეთილებს უსწორებენ სწავლაში სუსტებს და ჩამორჩენილებს ახალი მეთოდით. საცადი გაკვეთილები უფასოთ.
მისამართი „იმერეთის" რედაქციაში.

მასაჟით სამკურნალო კაბინეტი
**მ. ბალანჩივაძისა**
ვკურნავ მასაჟით, სამკურნალო ვარჯიშობით, კანქვეშ შესაშხაპუნებელი წამლით და ვსპობ სახეზე: მუწუკებს, ნაოჭებს, ჭორფლს, მეტ სიწითლეს, ნაყვავილებსა და სახის ყოველგვარ ავათმყოფობას.
გენერლის ქუჩა აქიმის ს. ლორთქიფანიძის სახლი.

**აქიმი ი. ჩარექოვი.**
იღებს მხოლოდ და განსაკუთრებით კანის, ვენერიულსა და სიფილისიან ავათმყოფებს. დილის 12 საათ. 2-დე; საღამოს 5—7.
ილია ჭავჭავაძის ქ. აბულაძის შესახვევი თოსელიანის სახლი.

## პირველი თებერვლიდან გაზ. „იმერეთი" ამა წლის დამლევამდი ღირს 6 მან. 10 შ.

# დღიური

— ცნობაა—ბულგარლებმა ბულაირი აიღეს და იქ ოსმალებს 18000 კაცი მოუკლესო.

— გარეშე საქმეთა მინისტრმა საზონოვმა ოსმალეთს შეუთვალა: თქვენ რომ გაიმარჯვოთ კიდეც მოკავშირე სახელმწიფოთა მოთხოვნილება თქვენს სასარგებლოთ მაინც არ შეიცვლება. რუსეთი იმათ მოთხოვნილებას დაუჭერს ყოველთვის მხარსო.

— გაზეთები სწერენ: ავსტრიამ რუმინიას აღუთქვა, თუ ბულგარეთს ომს აუტეხ, დაგეხმარებიო.

— საზღვარზე მდგომ რუსეთისა და ავსტრიის ჯარებს შეტაკება მოუხდათ.

— პეტერბურგში მოსულ დალაი ლამის ელჩს გამოეცხადა: რუსეთი ახლა ტიბეტის საქმეებში ვერ ჩაერევაო.

— ამნისტიის რედაქცია შეუცვლიათ. პოლიტიკურსა და ლიტერატურულ საქმეებზე დამნაშავეთ აღარ შეეხებაო.

— სახელმწიფო საბჭოს წევრს კობილიანსკის უთქვამს: სათათბიროს მიერ შედგენილი კანონ-პროექტები შეცდომებითაა გავსებული, კანონებს ასე მედუქნეები სწერენო.

— პეტერბურგში საზოგადოება დაარსდა, რომელსაც მიზნათ აქვს თვითმკვლელობასთან ბრძოლა.

— სმოლენსკის საპატიმროში ძლიერი სიცივის გამო ერთი პატიმარი გადაიცვალა.

— ორას ფრანგს ბულგარლებმა ადრიანოპოლიდან გასვლის ნება მისცეს. ასეთივე ნება უნდა მისცეს მან სხვა სახელმწიფოების ქვეშევრდომებსაც.

— რომანოვების გვარის დღესასწაული ბძანებაა—საპატიმროებშიც გადაიხადონ.

— პოლონეთის ქალაქებში საქალაქო თვითმართველობის შემოღების კანონპროექტი საბჭომ სათათბიროს კომისიას უკან დაუბრუნდა. მაგრამ კომისიამ კანონ-პროექტში მემარჯვენეთა ყველა შესწორება არ შეიტანა.

— ლატიშელ დეპუტატების თაოსნობით კერძო შკოლებში სამშობლო ენის სწავლების შესახებ სათათბიროში კანონპროექტი შეიტანეს. კანონ-პროექტი განაპირა ქვეყნებში არსებულ კერძო შკოლებს შეეხება.

## „კუზიანს სამარე გაასწორებს".

ჩვენებური დასელები თანდათან აშკარავებენ თავისი გულის ნადებს და სულის კვეთებას „შური პარკში არ დაიმალებაო", ნათქვამია და ისინიც ველარ ახერხებენ თავიანთ, მეტი რომ არა, ვთქვათ, უხეირო სურვილებისა და ახირებული განზრახვების დაფარვას. დასელების უტაკტო და უხერო მოქმედება ბოლოს და ბოლოს მათი ბრმათ თაყვანისმცემლებსაც კი თვალებს აუხელს და ყველას დაანახვებს მათს ორ პირობას. მალე ყველა დარწმუნდება და გაიგებს, რომ ჩვენებური ს. დ. შრომობენ, და იღვწიან „პარტიისათვის" და არა ხალხისათვის. მათ ავიწყდებათ რომ „პარტია" ხალხისთვის უნდა არსებობდეს და მზათ არიან მშობელი ქვეყანაც და მშრომელი ხალხიც ზვარაკათ შეწირონ თავის, პარტიის სახელის განდიდებას. ამ მოსაზრებით „პარტიის" სამსხვერპლოზე გულდამშვიდებით მიიტანეს ეროვნული საკითხი და ჩვენი ქვეყნის ავტონომია. ამ მიზნით უარყოფდენ ჩვენს ისტორიასა და წარსულს და ქვეყანას არწმუნებდენ, რომ საქართველოს ნამდვილი ისტორიული ცხოვრება მათი „მოღვაწეობის" დღიდან დაიწყო.

სწორედ ამით აიხსნება ჩვენებური

ს. დ. დეპუტატების უკანასკნელი საქციელი, როდესაც ადგილობრივი სამოსწავლო მთავრობის წრეს გადასული უკანონო მოქმედების შესახებ არა ჩვეულებრივი სისწრაფით სათათბიროში შეკითხვის შეტანას ეშურებიან, რაც თავისთავად მოსაწონი და სასიამოვნოა. ხოლო საკვირველი და დასაგმობია ის უცნაური ქონიანობა, როდესაც თავის თანამემამულე ქუთაისის გუბერნიის დეპუტატს, რომელსაც ამ შეკითხვის შესახებ ბევრი საინტერესო მასალა ხელთ ქონდა, ვრცლათ ლაპარაკის საშვალება მოუსპეს და მით საქმის ყოველმხრივ ნათლად გაშუქებას და დასაბუთებას ხელი შეუშალეს. ეს ხომ პირდაპირ ხალხისა საზარალო და მისი ინტერესების წინააღმდეგ მოქმედებაა! მაგრამ ამას როდი დაგიდევენ, ოღონდ კი ყალბი გზით მოპოვებული ხალხის ჭირისუფლების სახელის ტარების მონოპოლია არავინ ჩამოართვას და ვითომ მის მესვეურობასა და მოსარჩლეობაში არავინ შეეცილოს. ცხადია, მათ საქმეზე მეტათ „ერთად ერთი პარტიის“ განდიდება და მისი ხელის შეუშეურყევლობა აინტერესებთ.

მე პირადათ გულწრფელათ პატივსა ვცემ ზოგიერთ დასელის უანგარო თავის დადებას, კეთილშობილურ თავგანწირვას და გმირულ გამბედაობას. პირად შინაურ ლაპარაკში ხშირათ სულ გავიწყდებათ, რომ შეურიგებელ მოწინააღმდეგესთან გაქვს ლაპარაკი და არა შენ თანამოაზრესთან. მაგრამ საკმარისია საჯაროთ სიტყვით ან საქმით სხვანაირათ მოაზროვნე ადამიანს შეხვდენ და სულიერი სიმშვიდე ხასიათის სიდარბაისლე შეინარჩუნონ და საოცარი შეურიგებელი სექტანტობა, ვიწრო დოგმატიკოსობა არ გამოიჩინონ.

ახლაც ჩვენი დეპუტატი ვ. გელოვანის გასაგზავნათ მასალების შეგროვების დროს დასელი მასწავლებელნიც სიხარულით შეეგებნენ ამას და სურვილი გამოსთქვეს ამ სერიოზულ და ჩვენთვის საარსებო საკითხში ყველა კავკასიელ დეპუტატს ერთად ემოქმედათ რაც, ცხადია, ჩვენც სასურველათ და სასარგებლოთ მიგვაჩნდა. მაგრამ სწორედ დასელების „იმედულმა“ დეპუტატებმა ბავშური ქონიანობა გამოიჩინეს და დაბალი მოსაზრებით არ შეიწყნარეს ასეთი გონივრული საერთო მოქმედება, რაც საქმეს, რასაკვირველია, ვნების მეტს სიკეთეს არ უქადის.

სახალხო მასწავლებელი.

# ახალი ამბავი.

გაზ. „რუსკოე სლოვოში“ დაბეჭდილია ვინმე მ. ა. ერმაკევიჩის შემდეგი წერილი ქალ. მოგილევიდან (ბელორუსია) გამოგზავნილი.

მ. ხ., ბ. რედაქტორო! „რუსკოე სლოვოს“ 11 იანვრის ნუმერში მოთავსებული პანკრატოვის წერილის გამო — „აკაკი წერეთელი“ — ქ. მოგილევის რუსი საზოგადოება თავის მოქალაქობრივ მოვალეობათ სთვლის, თქვენი გაზეთის საშვალებით გამოუცხადოს ქართველ ერს, მოსკოვში მყოფი წარმომადგენლის მგოსანის აკაკი წერეთლის სახით, განსაკუთრებული სიყვარული, ღრმა პატივისცემა და სრული სოლიდარობა აზრისა და მისწრაფების, გამოსთქვას ის გრძნობა, რომელსაც რუსი ხალხი გულით საყვარელ ქართველ ხალხთან ერთად თავისუფალსა და მეგობრულ ცხოვრებისაკენ ლტოლვით განიცდის“.

✦ სახალხო განათლების სათათბიროს კომისიამ მოიწონა კანონ-პროექტი, გადაიდვა კიდევ 18 მილიონი მანეთი პირველ დაწყებითი განათლებისათვის.

რომანოვთა საგვარეულოს სადღესასწაულო კომისიამ დაადგინა: დააარსოს რომანოვთა ფონდი საადგილ-მამულო მეურნეობის გასაუმჯობესებლათ; სასურველათ სცნო დააარსოს სამელიორაციო წვრილი კრედიტი წვრილი მემამულეთა მეურნეობის გასაუმჯობესებლათ; გაიხსნას საპედაგოგიო ინსტიტუტი სამაგალითო სახავში, ბალით, დაბალ. უმაღლეს და საშვალო სასწავლებლებით გაიხსნას ყოველ გუბერნიაში და მაზრაში სასტატო სემინარიები; მოეწყოს მოსკოვში საეროვნო მუზეუმი რომანოვთა საგვარეულოს სახელით.

✦ ჩვენ ცნობა მივიღეთ იმისა, რომ თეკლათის მონასტერში დიდი ცეცხლი გაჩენილა და ზარალი მოუყენებია.

✦ მოვაგონებთ ჩვენს საზოგადოებას, რომ დღეს ნ. გვარამის ბენეფისია.

✦ მეფის მოადგილემ სენატში ქაღალდი წარადგინა ქუთ. თავ.-აზნაურთა საკრებულოში რევიზიის დანიშვნის შესახებ. ქაღალდში აღნუსხულია საკრებულოს საქმეებში ფულის ანგარიშების უწესრიგობა. ობერ-პროკურორმა განმარტა, რომ არც მეფის მოადგილესა და არც გუბერნატორს, როცა უწესრიგობა შენიშნეს, მეცხრე ტომის 377, მუხლით არ უსარგებლებიათ. ამ ზომით კი გამოირკვეოდა სახელდობრ რომელი მოსამსახურე პირი იყო დამნაშავე და ამით საქმის მიმართულებასაც ნათელი სახე მიეცემოდა, რევიზიის დანიშვნის შუამდგომლობა სენატის უფლება არაა, მისი განხილვის საგანს არ შეადგენს. ეს უმაღლესი მთავრობის მიერ დავალება სენატორებს. ამ მოსაზრებით სენატმა მეფის მოადგილის ქაღალდი ნაადრევათ სცნო.

✦ ქალაქის გამგეობამ საბოლოოთ გადაუწყვეტია, ქალაქის ახალი საავათმყოფო 1 აპრილიდან გაიხსნას. ახალ საავათმყოფოს მახლობლათ უნდა მოეწყოს გადამდებ სენიანთა საავათმყოფოც, რომელიც ამ ჟამად ორპირის ქუჩაზეა მოთავსებული.

✦ როგორც გავიგეთ, ამ დღეებში მოხდება ქალაქის სასანიტარო აქიმის დანიშვნა. ახლანდელ სასანიტარო აქიმს ჩარექოვს კი დაევალება მხოლოდ გადამდებ სენიანთა საავათმყოფოს მმართველობა.

✦ როგორც ს. ქვემო ქვიტირიდან გვწერენ, იქ მძვინვარებს საქონლის ჭირი, რომელსაც ამ მოკლე ხანში 10 სული საქონელი უსხვერპლია. სამაზრო ვეთალი ამ სოფლის უბედურებით თავს ნაკლებად იტკივებს, და საქონლის ჭირიც თავისუფლად, ხელშეუშლელათ დათარეშობს სოფელში. სოფლელები კი შიშით სრულ სასოწარკვეთილებას მისცემიან და არ იციან, რა გზას ეწიონ. ზამთარში ჭირის მოსპობა, როდესაც საქონელი სახლში აბია, ადვილი საქმეა, თუ, რასაკვირველია, ვეთალი საჭირო ზომებს მიიღებს. ხოლო, თუ ჭირმა გაზაფხულამდი გასტანა, როდესაც საქონელი საძოვრად მინდვრად გაირეკება, მაშინ ეს სენი მთელ სოფლებს მოედება და მისი შეჩერება შეუძლებელი გახდება. ნეტა რას აკეთებს მაზრის ვეთალი, როდესაც სოფელი ასეთ განსაცდელშია ჩაგდებული! ქუთაისში თბილად ჯდომა და აქედან განკარგულების ძლევა არ კმარა; საჭიროა ადგილობრივ საქმის გამოკვლევა და საჭირო ზომების მიღება ჭირის მოსასპობად.

✦ იმავე სოფ. ქვიტირიდან გვატყობინებენ, რომ ცოფიან ძაღლს სამი ბავში დაუკბენია: დაუკბენია აგრეთვე შინაური პირუტყვები და ფრინველები. ბავშების მშობლებს ვეთილსათვის მიუმართავთ დახმარებისათვის მიუმართავთ დახმარებისათვის, მაგრამ არ ვიცით, თუ რა დახმარება აღმოუჩინა მან. საჭიროა, ვეთალმა დარიგება მისცეს სოფლელებს, თუ როგორ უწამლონ ცოფიანი ძაღლისაგან დაკბენილ პირუტყვებს, თორემ ადვილად შეიძლება, ესენიც გახელდნენ და დიდი უბედურება მოახდინონ სოფელში.

✦ ქალაქის გამგეობას იჯარით გაუცია ეკლარის ქვის გატანა სამი წლის ვადით, წლიურათ 2000 მანეთად, მხოლოდ იმ პირობით კი, რომ თავის ხარჯით გააკეთონ საურმე გზატკეცილი ეკლარიდან ქუთაისამდი.

✦ როგორც გავიგეთ, 12 თებერვალს პეტერბურგს მიემგზავრებიან რომანოვების გვარეულობის 300 წლის იუბილეზე დასასწრებლათ ქალაქის მოურავი ი. მ. ჩიქოვანი, თავად-აზნაურთა გუბერნიის წინამძღოლი ფ. გ. მიქელაძე და მაზრის წინამძღოლი დ. კ. ნიჟარაძე და კ. დ. ერისთავი.

✦ ბაზრის ზედამხედველმა გელოვანმა ოქმი შეუდგინა ყასბებს ხორცის დადგენილ ნიხრს ზევით გაყიდვისათვის; მეწვანილების ბაზარში ბუტულაშვილს, გიორგი ნიჟარაძეს, გიორგი ჯანგავაძეს და ბალახვანში დიმიტრი ნათფილაძეს.

## მოწერილი ამბავი

დ. სამტრედია.

„იმერეთის“-ს ერთ-ერთ წინა ნუმერში ცნობა იყო მოთავსებული, რომ ადგილობრივ ქ. შ. წ. კ. საზოგადოების თაოსნობით 10 თებერვალს დ. სამტრედიაში უნდა მოეწყოთ ვლ. ალექსი-მესხიშვილის იუბილე. როგორც დანამდვილებით შევიტყვეთ, სხვადასხვა მიზეზების გამო, იუბილეს გადახდა შემდეგისათვის გადაუდვია გამგეობას.

— იმავე გამგეობას გადაუწყვეტია: კვირას, 10 თებერვალს, ორკლასიანი სასწავლებლის დარბაზში მოიწვიოს დაინტერესებულ პირთა კრება, რომელიც შეიმუშავებს ალექსი-მესხიშვილის იუბილეს პროგრამას, ან იუბილეს მომწყობ კომისიას ამოირჩევს. იმედია, „ქართველური“ სენით შეპყრობილი ნაკლები აღმოჩნდება დაბაში და არ დაეზარება კრებაზე დასწრება, რითაც ხელს შეუწყობს იუბილეს ღირსეულათ მოწყობას.

ხარაგოული (ზემო იმერეთი).

მეორე წელიწადია, რაც აქ საკრედიტო საზოგადოება არსებობს. საზოგადოებას ხალხში ნიადაგი აქვს და მისი საქმეები გაძლიერდებოდა კიდეც, რომ მასში შინაურ უთანხმოებას თავი არ ეჩინა. უთანხმოებამ საზოგადოების საქმის წარმოებაზე ცუდათ იმოქმედა.

ს. ხეთა (ოდიში).

ადგილობრივი ღვდლები სოფლელებს ცუდ მაგალითს აძლევენ. ღვდლები ერთმანეთს მექრთამეობას უჩივიან და ამ ნიადაგზე აქვთ დავა.

ს. მაღლაკი (ქვემო იმერეთი).

მაღლაკიდან მოწერილი ამბავი ვითომც აქ სამკითხველოს დაარსება განიზრახეს ტყუილია. სამკითხველო კარგი ხანია არსებობს. აქ აგრეთვე ორი სამინისტრო და ერთიც სამრევლო შკოლა არსებობს.

ფ ო თ ი.

ბ. ალექსანდრე გვასალიას სამრევლო შკოლაში, რომელიც კუნძულზე მდებარეობს, სწავლა-მაცადინობა ოთხმოცდაერთი წლის კანონით არ სწარმოებს. ბ. გვასალია ერთი იმ „მოლვაწეთაგანია“ საპედაგოგიო ასპარეზზე, ვისთვისაც სად პედაგოგიურ პრინციპებს არავითარი ფასი და მნიშვნელობა არ აქვს. ზემოხსენებულ შკოლაში ამ „მოღვაწის“ მეოხებით რუსული ენის სწავლება სამოსწავლო წლის პირველი სექტემბრიდან იწყება.

ჩვენ მოწმე ვართ იმისა, რომ ბ. გვასალია ერთერთ ადგილობრივ დაწესებულებაში გურია-ოდიშის სამრევლო შკოლების ზედამხედველს ეუბნებოდა: ქართველი მშობლების სურვილია — მათ შვილებს სასწავლებელში შესვლისთანავე რუსული ასწავლონ, ქართულს ისეც ისწავლიანო. ასეთ პირს კიდევ ნდობას უცხადებენ და ქალაქის თვითმართველობის ხმოსნათ ირჩევენ!

სომხების შკოლის დარბაზში ქ-ნ ნ. ლოლუას ასულის ჭრა-კერვის ქალთა შკოლის სასარგებლოთ გაიმართა საღამო. წარმოადგინეს ლიბერმანის შარჟი „სიმართლე“ ერთმოქმედებათ, თარგ. ქორელისა. წაიკითხეს ლექსები და სცენები. ამავე შკოლის მოწაფე ქალებისაგან შემდგარმა გუნდმა ბ. ა. მეგრელიძის ლოტბარობით იმღერა რამოდენიმე ქართული ხმა. საღამოს საერთოდ არა უშავდა. დარბაზი გაჭედილი იყო ხალხით.

როგორც ხმა დადის, ქალაქის ... ნების დამტკიცების შემდეგ, ინტელიგენცია ... წერილი ფ. ც. ხ. ... რივი განხილვის თაოსნობით საბოლოოთ გადაჭრის ფოთში თეატრის აშენების საკითხს.

რუსული დასი აქ წარმოდგენას ... მართავს. კაის იზამს ბათომის დასი „... ზაური“ თუ ახლა მაინც ისარგებლებს სომხების თეატრის შენობით და გამართავს რამდენსამე წარმოდგენას.

## საეპარქიო სასწავლებლის გახსნის საკითხი ფოთში.

(წერილი რედაქციისადმი)

ბ. ნ. ნიკოლაძის „კეთილი სიტყვების“ გამო.

ბ. იონა მეუნარგიაზე ნ. ნიკოლაძე სიტყვის გებაში (ამ წლის „იმერეთი“ № 27), სხვათა შორის, სწერია: ... იოანე ბობოხიძე მეწვია ამბით, მღვდელმთავარს ბ. მეუნარგიამ მოახსენა სა... ბირო გატყუებსთ, ფული არსად ... კარგად ვიცი, კასსა მე არ მაბარია...

ეს სიტყვები გულისხმობენ, რომ ბ. მეუნარგია პირადათ უნდა ყოფილიყო ღვდელმთავართან, რომლისთვისაც პირდაპირ უნდა მოეხსენებია: „სათათბირო გატყუებსთ, ფული არსად არისო“ და ამ მოხსენების დროს მეც იქ მათთან და ვყოფილიყავ და ჩემის ყურებით გამეგონოს ეს სიტყვები. ამის მოწმე არ ვყოფილვარ.

როცა ეს სტრიქონები წავიკითხე, ... ლად საღვდელო ლეონიდეს ვკითხე, რა იცოდა მან ამის შესახებ. ყოვლად ... დელომ მიბრძანა. „ამ საგნის შესახებ ... ნა ჩემთან არ ყოფილა და არც ... უთქვამს რა, სხვებისგან კი გამიგონია, რომ იონა წინააღმდეგია ფოთში სა... ქიო სასწავლებლის გახსნის“-ო. ... მართალია, მართალია ის, რომ ბ. მეუნარგია არ თანაუგრძნობდა, რომ ფოთში ... რვა-კლასიანი საეპარქიო ... წავლებელი გახსნილიყო ქალაქისა და სავდელოების საზიარო ხარჯით და ... ხეირით და მუდამ „კასაში ფული არა“ ძახილით იონამ კინაღამ არ ჩაშალა საქმე, აი, ამის მოკლე ისტორიაც.

1910 წელს ჩვენს სავდელოებაში ... იბადა აზრი, რომ გვეხსნა დედათა ... პარქიო სასწავლებელი. ჯერ გვინდოდა სამ კლასიანი სასწავლებლის გახსნა ახალსენაკში თუ კი ახალსენაკი მოგვცემდა და ერთჟამიერად 10,000 მანეთს სახლის ასაგებათ. ამის პროექტის შედგენა ... დობილი გვქონდა მე და დეკ. კ. ... ტურაის. ახალ-სენაკმა იმედები არ ... ვიმართლა. შევადგინეთ ახალი პროექტი ... წინადადება მივეცით ფოთს, რომ სა... რო ხარჯით გაგვეხსნა აქ პირდაპირ ...

# საერთო თანხის შესახებ.

(პასუხი ბ. გრიგოლ გველესიანს)

სასიამოვნოა, როცა საერთო მიზნის გამო აღძრული კითხვა თანდათან ირკვევა და სხვადასხვა მხრით იწვევს მსჯელობას; მაგრამ ერთი უხერხული ხასიათი ახლავს ყველა ახლანდელ ჩვენებურ პოლემიკას: თუ ვისიმე წინააღმდეგი აზრი არ მოსწონსთ, უსათუოთ ამ აზრის გამომთქმელს უკეთურისა და უწესო მიმართულების მიმდევარათ მონათვლენ; თუ საზოგადოებაში გავრცელებული აზრის წინააღმდეგ რამე სთქვით, ხალხის ინტერესების წინააღმდეგ გამოლაშქრებას დაგაბრალებენ. ასეთი ხასიათისაა პატივცემული გრიგოლ გველესიანის პასუხიც ჩემი წინადადების შესახებ კომერციული ბანკის უპირატესობის აღნიშვნის გამო. აზრათაც არ მოსვლია მარტო თავად-აზნაურობის ინტერესის დაცვა ჩემი წინადადებით; პირიქით, ჩემი წადილი იყო საერთო, ქვეყნის სასარგებლო საქის დაარსება და ნაყოფიერათ მოხმარება იმ ერთად-ერთი და უკანასკნელი თანხისა, რომელიც სამართლიანათ, თუ უსამართლოთ ჩვენებურ აზნაურობას ერგება. ჩემი აზრი ის არის, რომ მელიორაციული ბანკის ტიპი რუსეთში ჯერ კიდევ ჯეროვანათ შემუშავებული არ არის; ისეთი საქმის დაარსება და გაძღოლა, რომლის მაგალითიც ჩვენ თვალწინ არ არსებობს ჩვენთვის ამჟამათ ძნელია. მელიორაციული კრედიტი გულისხმობს მიწის გაუმჯობესებას; ყოველსავე გაუმჯობესებას, გარდა კრედიტისა, ცოდნაც უნდა; ჩვენი ხალხის უმრავლესობაში კი, ჩვენდა სამწუხაროთ, აგრონომიული ცოდნა ძლიერ მცირეა. გარდა ცოდნისა და კრედიტის მიწის გაუმჯობესებისთვის საჭიროა თვით მიწის ნიადაგის სიავკარგის შესწავლა; ეს გარემოება კი ძლიერ რთულ მუშაობასა და ხარჯს იწვევს; ხშირათ მემამულეს, მწარმოებელს გონია, რომ ამა თუ იმ დარგის წარმოება მის ადგილში სასარგებლოა, მაგრამ გამოცდილება კი, უმეტეს შემთხვევაში, არ ამართლებს იმის აზრს; რამდენი მაგალითი ვიცით იმისა, რომ ახალგაზდა აგრონომიული ცოდნით აღჭურვილ ჩვენებურ მემამულეს დაუწყია ახალი წესით წარმოება და ზარალის მეტი ვერაფერი უნახავს თავისი შრომისა და ხარჯისაგან. თუ ევროპაში, სამხრეთ საფრანგეთში, შვეიცარიასა და გერმანიაში ნაყოფიერ შრომას ვხედავთ სოფლის მეურნეობისას ამის მთავარი მიზეზი ის არის, რომ თვით სახელმწიფო ჯეროვან ყურადღებას აქცევს სოფლის მეურნეობას, საკმაო ფულს ხარჯავს მწარმოებელთა შრომა-მაცადინეობის ნაყოფიერათ გამოყენებისათვის. იმ ქვეყნებში კი, სადაც სახელმწიფო განსაკუთრებულ მზრუნველობას არ უწევს სოფლის მწარმოებელთ, ყოველი შრომა-მაცადინობა მეურნეობის გაუმჯობესობისა, თუ სულ არა, სანახევროთ მაინც უნაყოფოა. ამას გარდა, მელიორაციული მიზნით მოქმედება ბანკმა გირავნობის ფურცლების მეოხებით უნდა იწარმოოს. ყველა კარგათ ხედავს, რა საზარალოცაა მსესხებელთათვის ახლანდელი გირავნობის ფურცლებით სარგებლობა. ქუთაისის საადგილ-მამულო ბანკის ფურცლები ამჟამათ 77 მანეთად ღირს ასმანეთიანი. ამ სახით მსესხებელის ყოველ ათიათას მანეთზე 2300 მანეთი ეკარგება, ღებულობს 7700 მანეთს და სარგებელს კი ათიათასისას იხდის; ამნაირათ შვიდირვა პროცენტი კი არა — 27—30 პროც. გამოდის ფულის სარგებელი. არავითარი საბუთი არა გვაქვს იმ იმედისა, რომ ახალი სამელიორაციო ბანკის გირავნობის ქაღალდები ახლანდელ საადგილ-მამულო ბანკის ფურცლებზე უკეთეს პირობაში გავრცელდება. ერთად-ერთი უპირატესობა გირავნობის ფურცლებით მოქმედი ბანკისა ის არის, რომ ვალის გადახდის ვადა ხანგძლივია — 20—36 წელიწადი; მაგრამ ეს ჩვენებური ცხოვრების პირობებში მავნებელიც არის: მსესხებელი ეჩვევა იმ აზრს, რომ ვალის გადახდის ვადა დიდი ხნით არის განაწილებული და ამიტომაც განსაკუთრებულ ყურადღებას არ აქცევს აღებული ფულის ნაყოფიერათ მოხმარებას; ჩვენი ხალხის უმრავლესობის ხასიათი ხომ ისეთია, რომ ოღონდ დღეს მოითხოს ხელი და ხვალინდელ დღეზე და მით უმეტეს ათსა და ოც წელიწადს შემდეგ მოსალოდნელ გარემოებაზე ფიქრიც ეზარება, არა თუ შრომა-მაცადინობა.

ახლა გადვიდეთ იმის გარჩევაზე, თუ რა სარგებლობა მოაქვს კომერციული ხასიათის ბანკს. შემცთარი აზრია ის, ვითომ კომერციული ბანკით სარგებლობა მხოლოდ აქციონერებს შეუძლიათ: აზოვო-დონისა და ვოლგა-კამის ბანკს არც ტფილისში, არც ქუთაისში და არც სოხუმში არც ერთი აქციონერი არ ყავს, მაგრამ რამდენსამე მილიონს არიგებენ ამ ადგილებში. ბანკის წარმოების ხასიათი მის წესდებაზეა დამყარებული და მისი ხელმძღვანელების მიმართულება-სურვილზე. ვინ უშლის კომერციულ ბანკს — დიდათ ხელი შეუწყოს სოფლის მეურნეობასა და მწარმოებლებს. უანგარიშოთ, კომერციული მოთხოვნილების დაუცველათ ვერც მელიორაციული ბანკი მისცემს ვისმეს სესხს, და ანგარიშიანობის დაცვით, კომერციული ბანკი უფრო გაუწევს შემწეობას სოფლის მეურნესა და მწარმოებელს. კომერციული ყველა ბანკის წესდებაშია ჩართული ის მუხლი, რომლის ძალითაც სამეურნეო ამხანაგობათ, სოფლის მწარმოებელთა ჯგუფებს და მთელი სოფლის საზოგადოებათაც შეიძლება გაეხსნას კრედიტი. ახლაც ბევრი ტეხნიკური საშუალების საქმე: არხების გაყვანა, წყალსადენის მოწყობა, საუკეთესო მანქანების, თესლების მოპოვება და დარიგებაც უმეტეს შემთხვევაში, კომერციული ბანკების დახმარებით კეთდება. კომერციული ბანკიდან მოკლევადიანი, მაგრამ ... და საკმაო კრედიტი უფრო ხელსაყრელია მწარმოებელთათვის, ვიდრე სა... გილ-მამულო, ან მელიორაციული ... კების თითქმის სანახევრო ფასიანი გირავნობის ფურცლები.

კომერციული ბანკებს სესხის მი... ვადიანობაც ხომ ამ ჟამათ ფორმალური მოთხოვნილებაა.

კომერციული ბანკებისათვის ... ადვილია სესხის დროვება შეღავათი... ხერხება, ვიდრე საადგილ-მამულო ან ... ლიორაციული ბანკებისათვის; რა ... უნდა, ეს გარემოება საერთო წესათ ... უნდა გადაიქცეს, მაგრამ თუ რამე ... ერთო, სასიკეთო საქმისათვის ბანკი ... ყოფიერათ მომუშავე მწარმოებელთ ... შეუწყობს. ამის უფლება მას ყოველ... აქვს. ახლანდელ ზოგიერთ კომერციულ ... ბანკს წესდებაში გძელვადიანი ... გაცემის უფლებაც აქვს უძრავი ქონების ... გირაოთი; აზოვი-დონის ბანკს დიდი ... ეს უფლება აქვს და ამ უკანასკნელ ... ადესაში და მოსკოვში რამდენიმე ... დაარსდა მოძრავ ქონებაზე სესხის გაცემის ... უფლებით; რატომ ჩვენს ბანკს არ ... ლია ამნაირივე უფლება მოიპოვოს? ... მერციული ბანკის წარმოება ... სახეირო, რომ მას მრავალნაირი ოპერა... ცია აქვს: ერთ საქმეშიც რომ წააგოს ... მეორე და მესამე ხასიათის ოპერა... შველის და იხსნის ზარალისაგან.

...ანი სასწავლებელი. ამის შესახებ 911 წლის თებერვლის პირველ რიცხ- ...მოველაპარაკე ბ. ნიკოლაძეს. ბ. ნი- ...ძემ დიდის სიამოვნებით მიიღო ასე- ...ნადიდება და ჩვეულებრივის ენერ- ...შეუდგა მის განხორციელებას თა- ...რეში, ორს სხდომაზე: 5 აპრილსა ...ივლისს თავის ავტორიტეტით ჩინე- ...თ გაატარა ეს პროექტი ქალაქის ...თათბიროში, დაადგენია ქალაქს, რომ ...ტვირთოს ნახევარი ხარჯი, რაც სა- ...იქნება რვა კლასიანი დედათა საე- ...ქო სასწავლებლის შესანახათ. მთელს ...ის სახელმწიფოში ეს პირველი მა- ...თია, რომ რომელსამე ქალაქს ამდე- ...ხარჯი გამოელოს, რამდენიც ნიკო- ...ძემ გამოალებია ფოთს საეპარქიო სას- ...ებლის შესანახად.

...როგორ მიეგება ბ. მეუნარგია ამ პრო- ...თუმცალა 1911 წლის 5 აპრილის ...ის ჟურნალში ნათქვამია, რომ ფო- ...ქალაქის სათათბირომ ერთხმათ და ...გადასწყვიტა (მაშასადამე ბ. მე- ...აც თანახმა იყო), რომ ხსენებული ...ებლის შესანახათ ქალაქს ყოველ- ...ით გამოელო ნახევარი ხარჯი, მაგ- ...მავე წლის 5 ივლისის ჟურნალში ...სწერია ბ. მეუნარგიას კრებაზე პირ- ...უთქვამს: უკეთუ პრინციპიალურათ ...ობა იქნება, რომ შეიცვალოს ის ...ბები, რომელიც ქალაქმა სალვდე- ...ბას დაუდვა, ნებას მოვითხოვ მოვახ- ...სათათბიროს, რომ ქალაქს ძალა არ ...ს ის ხარჯი მიიღოს, რომელიც სა- ...რომ ამ წლის 5 აპრილის სხდომა- ...ილო. კვამლი უცეცხლოთ არ გაჩნ- ..., ნათქვამია. როგორც ამ კრებაზე, ...ვე კერძო საუბრებში, ბ. მეუნარგია, ...თ, იტყოდა, რომ ქალაქს არ შეუძ- ...საეპარქიო სასწავლებლის შესანახათ ...არი ხარჯის გამოტანაო, ფული არ- ...არის, კარგათ ვიცი, კასსა მე არ მა- ...ო და სხ. და სხ... ასეთს შემთხვე- ...ხოლმ კაცის ფანტაზიაც ძლიერათ ...ებს, მასაც შეაქვს თავისი წვლი ...ხრალდნ თითქმის ნემსიდან შექმნის ...ც. და აი გავრცელდა ხმა, რომ ...ი ატყუებს სალვდელოებას, თვარა ...არ ხაჯს არ გამოიტანსო. შეიძლება ...მ მიაწია ადგილობრივი ლვდელ- ...რისა და ექსარხოსის ყურებამდინაც. ...ლი წარმოსადგენია, თუ როგორ ...მედებდა ასეთი ხმები სალვდელოებაზე ...ეტადრე სალვდელოების იმ ნაწილზე ...ელიც თავის გულში წინაალმდეგი იყო ...ის სასწავლებლის გახსნისა ფოთში. ...ხაროთ, მოაწია ბ. ნიკოლაძის სამ- ...იდან დროებით გადაყენებამაც, გა- ...ნებამ იმ კაცისა, რომელიც იყო მთე- ...ჩვენი იმედი ამ საქმეში, და ქალაქის ...თველოს სათავეში დარჩა ბ. მეუნარ- ...კაცი, რომელიც, როგორც ამბობენ, ...მ იმას გაიძახოდა: ფეხს უნდა გა- ...საბნის შესაფერათ, ფული არაა კა- ...და ხარჯები უნდა შევამოკლოთო. ...მგონია, ანეკდოტათაცაა ჩვენში გა- ...ული, დიაღ, 1911 წლის დამლევს ჩვენში გარემოება შეიცვალა, შეიცვალა, სამწუხაროთ არა სასარგებლოთ ფოთში საეპარქიო სასწავლებლის დაარსებისა.

რასაკვირველია, კაცის ბუნებრივი მოთხოვნილებაა და მაინცდამაინც არც კია გასაკიცხი, რომ კაცმა ისარგებლოს დროთი, მონახოს მარჯვე შემთხვევა, რომ გამოაკეთოს თავისი საქმე... თავი გამოყო ძველ-სენაკმა. გიორგი ლევანის ძე ქავთარაძემ მიართვა ყოვლად სალვდელოლეონიდეს განცხადება, რომ მას შემოაქვს ნაღდათ ათი ათასი მანეთი, მიწა უფასოთ და მრავალი მასალა სახლის ასაშენებლათ, თუ კი დაბალი ტიპის საეპარქიო სასწავლებელი გაიხსნებოდა ძველ-სენაკში. ამ განცხადებაზე ყოვლად სალვდელოლეონიდემ დააწერა. 1911 წ. 18 ნოემბერს ვინაიდან ქ. ფოთის გარემოება შეიცვალა და ეს ეჭვს ბადებს, რომ მან ნაკისრი ვალდებულობა შეასრულოს და ეპარქიალური სასწავლებლისათვის საჭირო ყველა ხარჯის ნახევარი წილი გასწიოს და სხვა... და სხ.. და მისმა მეუფებამ ეს საკითხი გადასცა გასარჩევათ ოდიშის სალვდელოების საოლქო კრებას რომელმაც დ. ახალ-სენაკში 23 ნოემბერს დაადგინა, რომ დაბალი ტიპის დედათა საეპარქიო სასწავლებელი (სამკლასიანი) გახსნილიყო დ. ძველ-სენაკში.

სენაკიდან რომ დავბრუნდი (ალბათ, ნოემბრის უკანასკნელს რიცხვებში, რომელს დროსაც უნდა ეკუთვნოდეს თავში მოყვანილი ბ. ნიკოლაძის სიტყვები), მე ვინახულე ბ. ნიკოლაძე, რომელსაც, უეჭველათ აუხსნიდი, თუ რამ გამოიწვია ფოთისთვის გაკეთებული საქმის ასე ჩაფუშვა, ალბათ ვეტყოდი, რომ სალვდელოებას შეეშინდა ქალაქის მხრით მოტყვილებისა, შეიძლება ბრალი დავდე ბ. მეუნარგიასაც, რომელიც მუდამ იმას გაიძახის ფული არა აქვს ქალაქსაო, მაგრამ თავის დღეში არ ვეტყოდი ბ. ნიკოლაძეს იმას რაც არ ყოფილა. არ ვეტყოდი, რომ ,,ლვდელმთავარს მეუნარგიამ მოახსენა სათათბირო გატყუებსო," რადგანაც. როგორც ზემოთ ნათქვამია, ამას ადგილი არ ქონებია. ეტყობა, რომ ჩვენ შორის საუბრის ნამდვილი სიტყვები კარგათ არ დამახსოვრებია ბ. ნიკოლაძეს... ნიკოლაძემ მიპასუხა: ტყუილათ შეგშინებიათ, სათათბიროს დადგენილობა უკვე ძალაშია შესული, მას ვერავინ ვერ დაარღვევს, კანონათაა ქცეული, ქალაქი ვალდებულია, რომ იხადოს ნახევარი ხარჯი, როცა ეს სასწავლებელი გაიხსნებაო.

ბ. ნიკოლაძის განმარტებას შედეგათ მოყვა ის, რომ ჩვენმა საეპარქიო კრებამ, რომელმაც განიხილა ოდიშის სალვდელოების საოლქო კრების განაჩენი, რომ ძველ-სენაკში გახსნილიყო სამ კლასიანი საეპარქიო სასწავლებელი, ამის შესახებ 1912 წლის 12 აპრილს დაადგინა: ქალთა ეპარქიალურის სასწავლებლის გახსნის საქმე უფრო მარჯვე დროისთვის გადაიდვეს.

როდის დადგება ეს მარჯვე დრო? ვნახოთ, რას მოგვიტანს მომავალი.

დეკანოზი იოანე ბობოხიძე.

---

...მამულო და მელიორაციული ბანკე- ...მხოლოდ ერთნაირი წარმოებით ...ლობენ და თუ ამ დარგში ხეირი ...ნახეს, მათი საქმეც დაღუპულია; ...გარდაც, თუ კომერციულმა ბანკმა ...უწყო ხელი და განსაკუთრებული ...დღება არ მიაქცია გირავნობის ...ცლებით მომქმედ ბანკს, მისი საქმე ...მ დაბრკოლებული იქნება; ამას ჩვენ ...მათ თვალსაჩინოთ ვხედავთ ქუთა- ...სათავადაზნაურო-მამულო ბანკის გირავნო- ...ფურცლების ღირებულობის თანდა- ...შემცირებით. მხოლოდ იმიტომ, რომ ...ერთი დიდი აქციონერული ბანკი ...ასრულობს ამ ქაღალდების განაღ- ...ას, მათი ღირებულება თანდათან ...დება; უარესი ბედი მოელის მელიო- ...ული მიზნით მომქმედ ბანკს: მაგ ...თ არსად რუსეთში არ არსებობს ...ა და სანამ მას ნდობას—ნიადაგს ...უპოვებდეთ მსესხებელნიც აზარალე- ...და თვით ბანკიც ვერ იხეირებს. რაც ...ხება ბანკის სარგებლობის განაწილე- ...და თვით დაწესებულების მართვა- ...ობას, ამ საგნის მცხოვრებთა უმ- ...ესობისათვის სასარგებლოთ მოწეს- ...ბა თვით დამაარსებელთა და წესდების ...ვებელთა სურვილზე არის დამოკი- ...ული. ერთი მილიონი საწევრო ფუ- ...პირველათ დასაარსებელი და საწარ- ...ო თანხაა; მეორე მილიონი თანდა- ...შეიძლება მოგროვდეს ყველა წრის ...წოდების ხალხისაგან; მართვა-გამგებლობა შეიძლება წარმომადგენლობითი სესხებით მოეწყოს, ისე, რომ მსესხებელთაც მიეცეს იმდენი უფლება, რომ არავის ინტერესი დაიჩაგროს.

ამის დასამტკიცებლათ, თუ რა დიდი სარგებლობა შეიძლება დასტოვოს კომერციულმა ბანკმა, საკმაო თანხით აღჭურვილმა, საკმარისია მოვიყვანოთ მაგალითად ქუთაისისა და სოხუმის საურთიერთო ნდობის საზოგადოებანი: ამ ბანკებს ძირითადი თანხა დღემდი აქვს მოგროვებული 130—135 მანეთი; მიბარებული თანხა არ აღემატება 300—400 ათას მანეთს წელიწადში; ამ პირობებში თითოეული ამ საზოგადოებათაგანი წელიწადში 70—80 ათას მანეთს საერთო (ვოლოვოი) მოგებას სტოვებს; ამ წესით გამოვიანგარიშოთ, რას მოგვცემს ერთმილიონიანი ძირითადი და სამი მილიონი მობარებული თანხა?

საზოგადოთ, ყოველი კომერციული საკითხის გამორკვევის დროს ობიექტიური აზროვნობით უნდა ვხელძღვანელობდეთ და არა მარტო მორალური და სუბიექტიური მოსაზრებით. კრილოვის მზარეულის მაგალითი ჩვენ არ გვარგებს საერთო საქმეებისადმი განწყობილების გამოწვევის საქმეში.

ნიკო თავდგირიძე.

---

# შორს ჩემგან!..

შორს ჩემგან ფიქრო, შავო ფიქრო ჯოჯოხეთისა!
მოვედ ცისკარო! ჯანღი ფარავს ჩემ სულს დაჭანცულს:
შორს უდაბნოსკენ მიქრის ქარი უკუნეთისა,
მიაფრენს იგი თვის შავ ფრთებზე შვებას, სიხარულს!..
მახსოვს ნეტარი დრო სიცოცხლის გაზაფხულისა,
ბრძოლისა ზარებს რეკდენ ღრუბლით მოსილ მთაზედა...
მაგრამ ჩაფერფლა დრომ კოცონი სიყვარულისა
და დაანგრია შვების ტახტი გლოვის ხმაზედა!..
ახლა ნაპრალნი ყურს უგდებენ ტალღათა დუდუნს,
სიკვდილის ჰანგებს ფიქრთა ზღვაში მარხავენ კლდენი...
და სული ჩემი კვალათ ისმენს ქარისა ზუზუნს
და ასე რბიან ს[illegible]ხით სიცოცხლის დღენი!..
მაგრამ არა მს[illegible]ო შენ დაგემონო!
დე, კვლავ გ[illegible] თვისი ფრთები, არწივმა მთისა,
შენ კი შორს ჩემგან, შორს სივრცეში ძრწოდე დემონო!
კვლავ მსურს ვიმღერო ცისკრის ჰიმნი, სიმღერა მზისა!
ჰა, ვხედავ სხივსა მოციმციმეს, ნისლში გახვეულს..,
ტალღა მოღელავს და ბუტბუტით მამცნებს ხვაშიადს;
ნიავი უმღერს დილის ცვარ-ნამს ველზე დაფრქვეულს
და არე-მარეც ელოდება თრთოლვით განთიადს!!.

აკ. ხვინი.

---

# სახელმწიფო სათათბირო.

თავჯდომარეობს როძიანკო. გასულ კვირას ერთ სხდომაზე მემარცხენეებმა შეკითხვა შეიტანეს არჩევნებში ადმინისტრაციის უკანონო მოქმედების შესახებ. ჩხეიძე და როდიჩევი ლაპარაკობენ სწრაფი შეკითხვის აუცილებლობაზე. მემარჯვენე პურიშკევიჩის პირით უარყოფენ შეკითხვის მსწრაფლ განხილვას.

თავჯდომარე. გადავდივარ კენჭის ყრაზე. გადასაწყვეტი საკითხია, მივიღოთ თუ არა შეკითხვის საჩქაროთ განხილვის საჭიროება.

უარყოფილია. გიდავდივარ უწყების შეოთხე მუხლზე. განსახილველია ისევე შეკითხვა. სიტყვა ეკუთვნის კერენსკის.

კერენსკი. ბატონებო, მგონია არც ერთს ჯგუფს არა აქვს იმდენი უფლება შეკითხვა შეიტანოს, რამდენიც შრომის ჯგუფს. მესამე სათათბიროში, როდესაც მთავრობა ჯერ ისევ არჩევნებისთვის ემზადებოდა, გამოიცა შესანიშნავი ცირკულიარი შინაგან საქმეთა მინისტრისა. ცირკულიარში ნათქვამი იყო, თუ როგორ უნდა მოემზადებიათ ნიადაგი მთავრობისთვის სასურველ კანდიდატების გასაყვანად. მაშინ შრომის ჯგუფმა შეკითხვა შეიტანა მაგრამ ცენტრის უმრავლესობამ იგი უარყო, ალბათ იმიტომ, რომ მათ ჯერ არ იცოდენ, მთავრობა ვის დაუჭერდა მხარს კერენსკი ამის შემდეგ ეხება შეკითხვების მნიშვნელობას და მოყავს ფაქტები ადმინისტრაციის უკანონობისა არჩევნების დროს.

## გელოვანის სიტყვა.

გელოვანი. ბატონებო, მე არ ჩამოგითვლით ბოროტ-მოქმედებათა აუარებელ ფაქტებს, რომელნიც არჩევნების დროს მთელს რუსეთის იმპერიაში ხდებოდა. არ ვილაპარაკებ ჯერ ერთი იმიტომ, რომ ვხედავ ადმინისტრაციის ბოროტ-მოქმედებათა შემაძრწუნებელი ფაქტები თქვენზე როგორ მოქმედობს, რა პასუხს აძლევთ მათ, მეორეც, არ ვილიპარაკებ იმიტომ, რომ თითოეულ თქვენთაგანს, რასაკვირველია, თუ კეთილსინდისიერათ მოიქცევით, ათი და ასი ისეთი ფაქტი შეუძლია მოიგონოს, რანაირიც როდიჩევსა და სხვებს მოყავდათ. დღევანდელი კამათი ამ მხრით არ მინდა გავაშუქო. ამ ჟამათ მე სრულიად სხვა რამ მაინტერესებს. სახელმწიფო სათათბიროს მარცხენა ნაწილმა მთავრობას საბრალმდებლო ოქმი წარუდგინა. იგი ამბობს, მთავრობამ იმ მემარჯვენე[illegible], რომლებიც ახლა აქ, [illegible] სათათბიროში სხედან, აუარებელი უკანონობა ჩაიდინა, მასხრათ აიგდო კანონი და კანონიერება. იგი არამც თუ ამბობს ამას, აუარებელი დასამტკიცებელი საბუთებიც მოყავს. ჩვენ ვამტკიცებთ, რომ მთავრობამ უწმინდესი სინოდის ობერპროკურორის ხელით სალვდელოება საკურთხეველს მოგლიჯა და მასხარათ აიგდო იგი. იმის მაგიერათ რომ სიყვარული და სათნოება ექადაგა, სალვდელოება იძულებული გახდა წყევლა-კრულვა შეეთვალა იმათთვის, ვინც პოლიტიკურათ სხვანაირათ აზროვნებდა. სალვდელოებისა და პოლიციის ამ სამარცხვინო კავშირით ისარგებლეს სახელმწიფო სათათბიროს მემარჯვენეებმა, რომელთაც აქ რამდენიმე სკამი დაიპირეს. მერე რა მოხდა? ამის საპასუხოთ მემარჯვენეებისაგან დგება დეპუტატი პურიშკევიჩი და გვიცხადებს არა იმას, რომ ჩვენ მიერ მოყვანილი ფაქტები ტყუილია, (არც ერთი დასამტკიცებელი საბუთი იმისა, რომ ჩვენ მიერ მოყვანილი ფაქტები მართალი არ არის, აქ არ მოუყვანიათ. ვერც მოიყვანენ, რადგანაც ყველაფერი, რაც აქ განვაცხადეთ ჭეშმარიტებაა და შემოწმებულია), —ჰოდა, ჩვენ გვიცხადებენ არა იმას, რომ მართალს არ ვამბობთ, არამედ იმას, რომ ინგლისში კარგია და ჩვენში კი არვარგაო. მართალია, ბატონებო, მე ვეთანხმები დეპუტატ პურიშკევიჩს, ინგლისში კარგია, მაგრამ რათ არის კარგი, ბატონო პურიშკევიჩო? იმიტომ, რომ 3 ივნისის რეზოლუცია იქ შეუძლებელია, იმიტომ რომ იქ მაკაროვები და საბლერები არ არიან, როცა იმ ბედნიერ წუთს მივაღწევთ რომ კანონსა და კანონიერებას მასხრათ აღარ აიგდებენ, როდესაც რუსეთის იმპერიის მოქალაქისა და პიროვნების ფეხ ქვეშ გათელვა შინაგან საქმეთა მინისტრის თანამდებობის მიღების საშვალებათ არ გადაიქცევა; როცა აქაც ისე სცემენ პატივს პიროვნებას, როგორც ინგლისში და მისი უფლებანი ორივე იქნება დაცული, როგორც ინგლისში, მაშინ 70 შეკითხვას კი არ შევიტანთ, იქნება შვიდიც არ დიგვჭირდეს. იმ დრომდი კი ჩვენ განვიცდით იმას, რაც ყველა თქვენგანს მოეხსენება. და აი, ბატონებო, ან დაგვეთანხმეთ, რომ რასაც ჩვენ ვამბობთ, მართალია, აღიარეთ, რომ მთავრობას თქვენთან ერთად სიმართლისა ეშინია და ამიტომ განზრახ არ უნდა პასუხი მოგვცეს. თუ თქვენ, განსაკუთრებით კი სალვდელოებას, ჩვენი ნალაპარაკევი არ გესიამოვნათ, სცადეთ ერთი, მიიღეთ შეკითხვა და დაგვიმტკიცეთ, რომ მართალს არ ვამბობთ. თუ ამას არ იზამთ, ჩვენ უფლება გვექნება ისეთებათ ჩაგთვალოთ, რანაირათაც ახლა გთვლით (ტაში მარცხნით).

მარკოვ მეორის სიტყვას შემდეგ კენჭი უყარეს შეკითხვას და უარყვეს.

---

# დეპეშა.

პეტერბურგის დეპ. სააგენტოსაგან.

## ომი ბალკანეთზე.

სტამბოლი. ოტომანის წრეებიდან იუწყებიან: სინეკლსა და ჩერკესკიოს შუა ბრძოლა მოხდა და ოსმალებმა ზოგიერთი სიმაღლეები დაიკავესო.

ვენა. როგორც გაზეთები იუწყებიან, ტემეშვარში დაიწყო პროტესტები ჩრდილო უნგრეთის სერბიელების საწინაალმდეგოთ, რომელთაც სერბიის თანამგრძნობელთა დემონსტრაციაში მონაწილეობა მიუღიათ.

ქაირო. ქედივის სახლოპის პრინცესამ გადაწყვიტა ადრიანოპოლის კომენდანტს ბრილიანტებით მორთული საპატიო ხმალი მიართვას.

ბელგრადი. ალბანეთის საზღვრების საკითხის გამო „სამოუპრავა" სწერს: ალბანეთის ავტონომიაზე თანხმობით სერბია ამ დაამტკიცა პატივისცემა სახალხო პრინციპისადმი, მაგრამ სამართლიანი საზღვრების დაარსებისათვის [illegible] რო დამპყრობელთა [illegible] ტეგიული საზღვრების, ბუნებრივი პირობები მივიღოთ [illegible] მხედველობაში მისაღებია პროვინციების ეკონომიურ კულტურული პირობებიცო.

(გაზეთებიდან)

## ოსმალების გამარჯვება.

22 იანვარს შავმთიელმა რაზმმა რიცხვით 16,000 ოცდა თუთხმეტი ზარბაზნით, სროლა ასტეხეს ტარაბოშსა და ბარდანიელზე, მაგრამ ოსმალებმა ისინი უკან გააბრუნეს, 3,000 კაცი დაუჭრეს და მოუკლეს და ბრძოლის ველზე 6 ზარბაზანი და მრავალი სამხედრო მოწყობილობა დასტოვებიეს.

— 22 თებერვალს ნაშუადღევიდან გალიპოლის რაიონში ძლიერი ბრძოლა სწარმოებს. ბულგარეთის მოწინავე რაზმმა 8 კილომეტრით წინ გაიწია.

— ადრიანოპოლთან დიდი ბრძოლაა. ქალაქში რამდენიმე უბანი დაიწვა.

— როგორც სარწმუნო წყაროებიდან იუწყებიან, ბულგარეთის მთავრობა მზათაა დააკმაყოფილოს ზოგიერთი სახელმწიფოს, და მათ რიცხვში გერმანიის მოთხოვნილება, შესახებ იმისა, რომ ზომები მიიღონ და უცხოელნი ადრიანოპოლში უზრუნველყონო. მოსალოდნელია—ადრიანოპოლიდან უცხოელების გასვლის საკითხიც წამოაყენონ.

— ფინანსთა სამინისტროს კანცელარიის უფროსი რეშიჯ ქემალი მეორე დელეგატათ დანიშნეს და საშზაბათს ლონდონს წავიდა.

— როგორც „რეიტერი"-ს სააგენტოს გაუგია გუშინ ელჩთა თათბირზე ორი საკითხი განუხილავთ: ა) ოსმალეთის თხოვნა დიდ სახელმწიფოებისადმი, რომ მათ საქმეში ჩაერიონ და ბ) რუმინია-ბულგარეთის მოლაპარაკების საკითხი.

## საზღვარგარეთი.

ლონდონი. ლორდთა პალატის 21 თებერვლის სხდომა შეწყდა.

ვაშინგტონი. შტატების მთავრობა მხოლოდ მაშინ იცნობს ფორმალურათ მექსიკის ახალ მთავრობას, როცა ეს უკანასკნელი დაამტკიცებს, რომ შეუძლია მხარეში მშვიდობა დაამყაროს და უწესოებას საზღვარი დაუდვას.

მადრიდი. გენერალმა ალფაუმ ტოტუანეში ესპანიის დროშა ამართა.

ლონდონი. სუფრაჟისტ ქალებმა კიუგარდენში სჩაიე პავილიონი დასწვეს. ზარალი 1000 გირვანქა სტერლინგს აღემატება. ექვით დაატუსაღეს ორი ქალი. ქალთა ლიგის მიტინგზე სუფრაჟისტ ქალმა პანგორსტმა გაახცხადა, რომ ლოიდ ჯორჯის სახლის აფეთქება მისი ბრალია. ამასთანავე გაახცხადა—ქალთა გათანასწორების ბრძოლაში აქტიურ მონაწილეობას მივიღებო.

ბერლინი. რუსეთის საელჩოს წარმომადგენელთა, სამხედრო სააგენტოს, ქალაქის დეპუტაციისა და გარნიზონის თანდასწრებით აკურთხეს ბართლომეს საყდრის მახლობლათ 1913 წ. მოკლული რუსი აფიცერის ბარონ ბლომბერგის ძეგლი.

პარიზი. პუანკარემ დიპლომატიური კორპუსის მილოცვაზე გაახცხადა: მადლობას გიძღვნით, რომ დიდი სახელმწიფოების წარმომადგენლებმა ევროპას მძიმე პირობებში მშვიდობიანობის საკითხში ღირსეული ღვაწლი დასდევითო.

საფრანგეთის სფერებში პეტერბურგის ელჩათ დელკასეს დანიშვნას დიდის კმაყოფილებით შეხვდენ. „ჰავასი" იუწყება: მთავრობამ საკითხი აძრა, რომ პეტერბურგის ყოფილი ელჩი ლუი გარეშე საქმეთა სამინისტროში მაღალ თანამდებობაზე დაინიშნოსო.

ლონდონი. კიუგარდენის დაწვისათვის ექვით დაატუსაღეს ორი სუფრაჟისტი ქალი. შეკითხვის დროს ამათ მსაჯულს წიგნებისა და საწერლის სროლა დაუწყეს. ედინბურგში სუფრაჟისტმა ქალებმა ფოშტის 20 ყუთში სითხე ჩაასხეს და 2000 წერილი გააფუჭეს. ლეიტენორდს გამპტონში რამდენიმე საფოშტო ყუთი დასწვეს.

ჭურჭლეულობისა და ავეჯეულობის მაღაზია ქ. ქუთაისში

# ფ. ს. ფილიპოვისა

ყოველთვის მოიპოვება დიდძალი რჩეული: ფაიფურისა და ფაიანსის ჭურჭლეული; საუცხოო ბროლისა და მინის საქონელი, საუკეთესო ლამპები ვარშავიდან და საზღვარგარეთიდან, აგრეთვე ემალ გამოვლილი, ჭურჭლეული თუნგის, მინის, ალპაკა და პლინძის ქვაბები, ყავადნები და სხვა სამზარეულო ჭურჭელი. სამოვრები, ნავთის სამზარეულოები და ყოველივე საოჯახო ნივთი. ვერცხლარევი და ბრინჯაოს ნაკეთები საქონელი, ფერადი მოხრილი სუფრა ყოველ ვარი და და ბამბუკის ავეჯეულობა, ვარშავისა და ინგლისისა ქარხნებიდან ლოგინები. კედლისა და საპირფარეშო სარკეები. სასუფრე კლიონკები და ... ლანგრები, საუკეთესო ... ღვარგარეთისა და რუსეთის გიტარები, მანდოლინები, ბალალაიკები, პატე—გრამაფონები და მათი ფირფიტები, პიანინები და ყოველგვარი საარგანო შემკობილება. ელექტრონული ლამპები და ყოველგვარი მოსა... ყობელი, ორთქლით მრეცხავი მანქანები და საელესიო მოწყობილება, დიდძალი რჩეული შპალერი თოფი 8 კაპიკიდან ვიდრე მანეთ-ნახევრამდი. საუკეთესო ქარხნის მბეჭდავი მანქანის წარმომადგენლობა ქუთაისის გუბერნიისა და ბათომის ოლქში მეკუთვნის მხოლოდ მე. ფასები მეტათ დაკლებულია.

სავაჭრო სახლი გოკიელოვი შვ-ბი ქუთაისში.

# ხ. ხრისტადულიდის

ერთად ერთი წარმომადგენელი მთელ ამიერ-კავკასიაში ჩვენში კარგათ ცნობილი სახელი განთქმული **აბრეშუმის თესლის** (რომელსაც ჩვენში წინათ წერეთლის თესლს ეძახდნენ). ამით ატყობინებს მეაბრეშუმეებს თესლით მოვაჭრეებს, რომ პარტიობით თესლის დამკვეთ (ზაკაზის მომცემთ) ნაღდ ფულზე არა ნაკლებ ერთი ყუთისა ანუ 200 ქეს მისხლიან კოლოფისა თესლი მიეცემათ: 1 მარტამდის—1 მ. 14 შ., 15 მარტამდი—1 მ. 4 აბაზათ, 1 აპრილამდი—1 18 შ. ხრისტადულიდის თესლის ღირსებამ გასულ წელს ზოგიერთ ვაჭბატონებს მადა გაუღვიძა და მდარე ღირსების თესლის ყუთებზე (იხ. გაზეთები ,,ზაკავკ. რ.'', ,,სახ. გაზ.'', ,,ბათ. სიმართლე'' და სხვ.) ხრისტადულიდის ფირმის ყალბი ეთიკეტების კეთებას შეეცადნენ. შესაძლოა ზემო-აღნიშნული ბოროტება წელსაც განმეორდეს. თესლის შეძენის დროს სიყალბის ასაცდენათ .დიდი ყურადღება მიაქციეთ ჩვენი ფირმის „იარლიკს“ და ,,შტემპელს'', აგრეთვე შეეცადეთ თესლი საიმედო პირთაგან შეიძინოთ.

პარიზი. ღელკასე 23 თებერვალს პეტერბურგს წავა.

**რ უ ს ე თ ი.**

პეტერბურგი. პოლტავის გუბერნატორი გრაფი მურავიოვი მოსკოვის გუბერნატორათ დანიშნეს და ლიბავის ოლქის სასამართლოს თავჯდომარე სოლოვიოვი მოგილევის ოლქის სასამართლოს თავჯდომარეთ.

სენატმა გააუქმა კიევის პალატის განაჩენი, რომელმაც კიევის ფარული პოლიციის უფროსი მიშჩუკი, უბნის ზედამხედველი კლეინი და ორი დარაჯი გაამართლა თანამდებობის ასრულების დროს ჩადენილი დანაშაულობისათვის, იუშინსკის მკვლელობის დროს, და საქმე ხელახლათ განსახილავათ ხარკოვის პალატას გადასცა.

სენატმა უყურადღებოთ დასტოვა პეტერბურგის ქალაქის თვითმართველობის სარევიზიო კომისიის თავჯდომარის სააპელაციო საჩივარი, რომელსაც პეტერბურგის პალატამ სამსახურიდან გადაყენება და 36,000 მანეთით დაჯარიმება 3 წ. ციხით შეცვლით გადაუწყვიტა.

სათათბიროს კომისიამ განიხილა კადეტთა ფრაქციის შეკითხვა სხვადასხვა უკანონო არჩევნების შესახებ და მრავალი შეკითხვა ინტერპელიანტებისა უსაფუძლოთ სცნო.

მართლმადიდებელი ეკლესიის საქმეების კომისიამ მოიწონა კანონ-პროექტი, რომლის ძალითაც 1913 წლიდან დაწყებული ყოველ წლიურათ უნდა გაიღონ 600,000 მანეთი ქალაქისა და სოფლების სამღვდელოების ჯამაგირის მოსამატებლათ.

საბიუჯეტო კომისიამ მოიწონა კანონ-პროექტი, რომლის ძალით რომანოვების 300 წ. იუბილეს ხარჯების დასაფარავათ 484,990 მანეთი უნდა გაიღონ.

სათათბიროს მე-8 განყოფილებამ უკანონოთ იცნო ვარშავის არა რუსთა წევრის იაგელოს არჩევანი-მეფის წინაშე წარსდგა შინაგანი მინისტრის ამხანაგი ჯუნკოვსკი.

ალექსანდრე ნეველის ლავრაში მსახიობთა და მრავალი ხალხის თანადასწრებით დაასაფლავეს მსახიობი ვიალცევის ქალი.

## სახალხო მასწავლებლები სერბიაში.

სერბიისა და რუსეთის სახალხო შკოლას შორის განსაცვიფრებელ განსხვავებას დაინახავთ; პარტიულ ბრძოლაში სერბიის მასწავლებლები თვალსაჩინო როლს თამაშობენ; ისინი გამოჩენილათ ეწევიან პოლიტიკურ პროპაგანდას, განსაკუთრებით სოფლის ხალხთა შორის. ასეთი მონაწილეობა პოლიტიკურ ცხოვრებაში შეადგენს აუცილებელ პირობას თითოეული მასწავლებლის მოღვაწეობაში. სერბიის მასწავლებლობას საკუთრად არა აქვს არავითარი განსაზღვრული პოლიტიკური ელფერი; იგი არ არის დამაგრებული თავის რწმენაში და ყოველ სახელმწიფო ცვლილებას შეუძლია შეცვალოს იმისი პოლიტიკური ფიზიონომია. პირველათ 1880 წლებში, სერბიის მთავრობამ შენიშნა, რომ სახალხო მასწავლებლები გავლენას იჩენენ სახელმწიფოს პოლიტიკურ ცხოვრებაზე. ამავე წელში მოხდა კერძოთ, მთავრობის ნებადაურთველათ, სახალხო მასწავლებელთა პირველი კრება, დაესწრო 30 წევრი, რომელთაც გამოიტანეს გადაწყვეტილება შეექნათ მასწავლებელთა მჭიდრო კავშირი, რათა გაემჯობესებიათ მათი ნივთიერი მდგომარეობა და თან აემაღლებიათ მათი სახელი და მნიშვნელობა სახელმწიფოში. მთავრობის პარტიამ, როდესაც შეიტყო მასწავლებლების შეერთების სურვილი, საუმჯობესოთ სცნო მასწავლებელთა მოძრაობა თავიდანვე გადაექცია თავის სასარგებლოთ. რომ მიეზიდა მასწავლებლები თავის მხრისაკენ, მთავრობის პარტიამ შექმნა ლიბერალური საშკოლო კანონი, მასწავლებელთა მდგომარეობის და შკოლათა გამაუმჯობესებელი. კანონი გამოვიდა 1882 წელში, შემდეგ წლებში კი მასწავლებელთა საზოგადოებამ მიიღო უფლება ლეგალური არსებობისა. მას შემდეგ სერბიის მთავრობამ უკვე გამოჩენილათ და გულახდილათ დაიკავა საქმე მასწავლებლებთან. 1898 წელში გამოსულმა კანონმა სცადა შეეზღუდა როლი და მნიშვნელობა მასწავლებელთა, მაგრამ შემდეგ წელში ასეთი ცდა იცვნეს არაგამოსადეგათ და კანონი კვლავ შეიცვალა მასწავლებელთა სასარგებლოთ. სახელმწიფო ცვლილებამ 1903 წელში დაამტკიცა მთავრობის რადიკალური პარტია, რომელმაც თავის რიგზე 1904 წელში გამოსცა ახალი საშკოლო კანონი მეტათ ხელსაყრელი და სასარგებლო სახალხო მასწავლებელთათვის. ეს კანონი ძალაშია ახლაც

ამ გზით, რამდენიმე წლების განმავლობაში, სერბიის მასწავლებლობამ მიაღწია დიდ წარმატებას ნივთიერი მდგომარეობის მხრით. სერბიაში ყველა სახალხო მასწავლებელი ითვლება სახელმწიფო სამსახურში და ათი წლის სამსახურის შემდეგ მათ ეძლევათ პენსია, ამასთანავე მასწავლებლობაში გატარებული წლები სხვა სახელმწიფო სამსახურში გადასვლისას ყველა ეთვლება. პირველათ მასწავლებელს ეძლევა წელიწადში 320 მანეთი, მაგრამ მას 25 წლის განმავლობაში ყოველ ხუთ წელში ერთხელ ემატება და ბოლოს უხდება ჯამაგირი 1400 მანეთი. ცხოვრება სერბიაში, როგორც ქალაქში, ისე სოფელში —იაფია, ამიტომ მასწავლებელი იქ ამ ჯამაგირით დიდებულათ ცხოვრობს და შვილებსაც ზდის არა მარტო სატახტო ქალაქ ბელგრადში, არამედ საზღვარგარეთაც. მთავრობას თავის თავზე მიღებული აქვს მასწავლებელთა უზრუნველყოფა; შკოლების მოწყობა, შენობების რემონტი და ყოველივე საოჯახო ნაწილი კი დავალებული აქვს საზოგადოებას; ამის გამო იქ შკოლები ერთობ ღარიბულ მდგომარეობაშია. სერბიის მასწავლებლები გარეშე თავისი მოვალეობისა არ კიდებს ხელს არავითარ უსასყიდლო შრომას ხალხის სასარგებლოთ, ამიტომ იქ არ მოიპოვება არც საკვირაო შკოლები და არც ბიბლიოთეკა-სამკითხველოები.

ლადო ბზვანელი.

## ოსმალ-ბალკანელთა ომის გარშემო.

ინგლისური გაზეთი ,,Dailu Telegraph“-ის ამ წლის იანვრის 1 №-ში შემდეგ ამბავს სწერს ახლანდელ ოსმალ-ბალკანელთა ომის შესახებ:

„ქალაქი კავადდა დაიჭირეს ბულგარებმა; არავითარი წინააღმდეგობა მცხოვრებლებს არ გაუწევიათ.. მეორე დღეს ქუჩებში შეიქნა თათრებზე ნადირობა; ბულგარებმა შეკრიბეს თათრები და გარეშე ყოვლის გასამართლებისა დახვრიტეს... ქრისტიანებმა უნდა შეიტყონ, თუ რა არის შესაძლებელი მეოცე საუკუნეში. ტყვეები შეალამისას გაალვიძეს, გამორეკეს მოედანზე და დახოცეს: ზოგი თოფის შუბებზე წამოაგეს და ზოგსაც თოფის კონდახით, როგორც ძაღლებს თავები დაუხეთქეს. სულ კავადდაში მოკლეს ამ გვარათ 115 კაცი. მეორე ქალაქს, სერესში თათრებმა თავის დაცვა განიზრახეს და ორი ბულგარელი ოფიცერი (ოფიცერი) თოფით მოკლეს. მაშინ ბულგართა ოფიცერმა, რომელიც სარდლობდა ამოიღო საათი უბიდან და უთხრა ჯარს: ახლა ოთხი საათია, ხვალ ამ დრომდი ნებას გაძლევთ—თათრებს რაც გინდათ ის უყოთ. ერთ დღეს და ღამეს ქალაქში 1200 თათარი მოკლეს.

კსანძში მცხოვრებლებმა ჯამეებში შეაფარეს თავი, მაგრამ იქაც, სალოცავებში შეხიზნული ხალხი გამარჯვებულებმა ხმლით აკაფეს... ერთი მდიდარი თათრის თავი გამოაფინეს და პირში ჩიბუხი მისცეს... ბულგარლებმა გაანადგურეს სასაფლაოები, დაანგრიეს სახლები, და პატივი ახადეს მანდილოსნებს.“

რედაქტორ გამომცემელი
გ. ე. შელიძე

სამეცნიერო პედაგოგიური და სალიტერატურო ჟურნალი

# „განათლება“

მიიღება ხელისმოწერა 1913 წლისათვის.
(წელიწადი მეექვსე).

1913 წელში ჟურნალი „განათლება“ ჩვეულებრივათ გამოვა ყოველ თვის შუა რიცხვებში გარდა ზაფხულის ორი თვისა. ჟურნალში იბეჭდება წერილები, როგორც სწავლა-აღზრდის შესახებ, აგრეთვე მეცნიერების სხვადასხვა დარგიდან და სიტყვაკაზმული მწერლობიდან; აქვს თვიური ჟურნალის ყველა განყოფილება, გამოვა ჩვეულებრივზე უკეთ დასურათებული. ჟურნალში მონაწილეობას იღებენ ყველა ჩვენი საუკეთესო მეცნიერები, მწერლები, პედაგოგები და პოეტები.

იანვრიდან ჟურნალში იქნება ცალკე განყოფილება, სადაც დაიბეჭდება ყოველგვარი ცნობები ქ. შ. წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოებისა და მისი განყოფილებათა მოქმედების შესახებ.

წლიური ფასი: **ოთხი მანეთი** (4 მ.) მხოლოდ სოფლის მასწავლებლებსა და სასოფლო სამკითხველოებს ჟურნალი დაეთმობათ წლიურათ **სამ მანეთად**, საზღვარგარეთ 6 მანეთად. ვინც წლიურ ფასს ჟურნალისას იანვრის ბოლომდი გადიხდის, საჩუქრათ მიიღებს განსვენებულის იაკობ გოგებაშვილის მოზრდილ სურათს.

ხელისმოწერა მიიღება თფილისში: ქართულ გიმნაზიაში, „ნაკადულის“ რედაქციაში და წერა-კითხვის საზოგადოების წიგნის მაღაზიაში ივანე ავალიშვილთან. ქუთაისში ისიდორე კვიცარიძესთან, ბათომში წიგნის მაღაზია „განთიადი“, ამ ორ ადგილას იყიდება ცალკე ნომრებიც, თითო 2 აბაზი

რედაქცია სთხოვს ხელისმომწერლებს დროზე დაიკვეთონ ჟურნალი.

**მისამართი:** Тифлисъ. Дворянская Грузинская Гимназія **Л. Г. Боцвадзе.**

რედაქტორ-გამომცემელი ლ. გ. ბოცვაძე.

# გ. გორდამის და ს. წერეთლის

რკინეულობის მაღაზიაში იყიდება:

საუკეთესო
ქარხნებისაგან
მიღებული რკინეული
საქონელი: კარის, ფანჯრის
და ლუმელის მოწყობილობანი;
სადურგლო ხელსაწყობი, ფანჯრის
მინები, რკინის ნიჩბები, ლურსმანი, მავთული, ყოველგვარი სალებავი **წამალი,**
ელექტრონის ზარის მოწყობილობანი, შპალიერი,
ცემენტი, ემალიანი ჭურჭლები, ასფალტი, და სხ.
ვაჭრობა პარტიით და წვრილათ ხელმოსაწყობ ფასათ.
ქ. ქუთაისში, საკუთარ შენობაში, მიხაილის ქუჩაზე № 65.



# ნ. ს. ტერპი.

ქუთაისი, ქარვასლის ქუჩა.

**სპეციალისტური სავაჭრო**

**ნავთის—კალილო ლამპები და ფარნები, 75% იაფი ელექტრონულზე, იოლათ და ადვილათ მოსავლელია.**

ნავთისავე მრავალი ფეჩები, სამზარეულო, სათუთური და პრიმუსები.

**ფასები ძლიერ დაწეულია.**

მოითხოვეთ პრეისკურანტები

ქუთაისში ასეთი ფარნები არის 160.

მეტეორი.





ფეჩი.

3 დეკემბრიდან ქ. თფილისში გამო-დის ყოველდღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

# „ჩვენი დროება“.

ხელისმოწერის პირობები თფილისში და თფილის გარეთ: წლიურათ—5 მ., ნახევარი წლ.—3 მ., ერთი თვით—3 აბ., საზღვარგარეთ ერთი ორათ მეტი. ცალკე № ყველგან—3 კაპ.

განცხადების ფასი პირველ გვერდზე სტრიქონი პეტიტით—3 შ., მეოთხეზე—2 შ.

გაზეთში მონაწილეობას მიიღებენ: აკაკი, ი. ანდრონიკაშვილი, არჩ. ახნაზაროვი, გ. ამირაჯიბი, კ. ანდრონიკაშვილი, ი. გომართელი, პ. გოთუა, ფ. გოგიჩაიშვილი, ზ. გულისაშვილი, გ. გვაზავა, ვ. გუნია, დ. დუმბაძე, დავით ეპისკოპოზი, ევდოშვილი, ი. ვართაგავა, ეგ. იოსელიანი, დ. კასრაძე, ს. მგალობლიშვილი, კ. მესხი, ანტ. ნატროშვილი, იასე რაჭველი, მ. ჯანაშვილი, გრ. ყიფშიძე, კ. თუმანიშვილი, ვალ. შალიკაშვილი და სხვ.

ადრესი: Тифлисъ, Дворцовая ул., д. Д. З. Сараджева, рядомъ съ редакц. газ ,,Закавказская Рѣчь''. Телефонъ №—12—48. Для телеграммъ: Тифлисъ „Дроеба“.

რედაქტორი სოფრომ მგალობლიშვილი.

გამომცემელნი } ერ. დ. გორდელაძე
} მ. გაჩეჩილაძე.

მიიღება ხელის-მოწერა

ყოველკვირეულ საზოგადო-ეკონომიურსა და სალიტერატურო ჟურნალ

# „კლდე“-ზე.

1913 წლის იანვრიდან ჟურნალი უფრო ფართო პროგრამით გამოიცემა, ჩაერთობა ილიუსტრაციები, კარიკატურები და სხ., მოწვეულ არიან ახალი თანამშრომლნი როგორც ადგილობრივი, ისე რუსეთისა და საზღვარ გარეთიდან. ფასის გადახდა შეიძლება ნაწილ-ნაწილათაც: 3 მან. და 2 მან. 1 წ. 5 მ., 6 თ. 2 მ. 15 შ., 3 თ. მ. 10

საზღვარ გარეთ ყველა ფასებს ემატებათ თვეში 5 შაური გადასაგზავნი.

სოფლის მასწავლებელთ, სამკითხველოებს და კოოპერატიულ დაწესებულებათ: 1 წლ. 4 მ., 6 თ. 2 მ. 10 შ., 3 თ. 1 მ., 1 თ. 2 აბაზი, ცალკე № ორ შაურათ.

**განცხადების ფასი კანტორასთან შეთანხმებით.**

მისამართი: თფილისი Габаевскій пер. № 3.

ელექტრო-საბეჭდავი შერაძისა და ძარნაუხოვის, ქუთაისში.